სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/90

ქ. თბილისი 07 05 2019 წ.

სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოში (სენატში) წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-10 მუხლის პირველი პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-9 და მე-12 მუხლებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის #01-05-04/36 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) აკადემიური საბჭოს წევრის ერთ და წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) წევრის ორ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმომადგენლების ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები 2019 წლის 27 მაისს.
2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც სტუ-ს შესაბამის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულში უკავია მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევენ შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ხოლო არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების 44-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც სტუ-ს შესაბამის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულში უკავია სამეცნიერო თანამდებობა და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

4. აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლები აირჩევიან საბჭოების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 13 მაისიდან და დასრულდეს 2019 წლის 20 მაისს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

7. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოებმა 2019 წლის 13 მაისამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში, არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი — არჩილ ფრანგიშვილი